| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 9 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ტფილისში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სალიტერატურო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ეარანცოვიძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთაშორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სააღგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა

## წლიური კრება,

დანიშნული 14 ნოემბრისთვის, ვერ შესდგა, რადგან კანონიერი რიცხვი წევრთა არ შეიკრიბა. ამის გამო, საზოგადოების წესდების მე-15 § ძალით, ხელმეორედ კრება დანიშნულია 21 ნოემბრისთვის, დილის 10 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (5—4)

---


## ქართული თეატრი

სამშაბათს, 20 ნოებერს,

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

პირველად

ახალი პიესა

## ცოდვის შვილი

დრამა 3 მოქმ. და 4 სურათ. თხზ. გ. იოსელიანისა.

II

## პარიკმახერისას

ხუმრობა—ვოდევილი 1 მოქმედ. თხზ. რ. ერისთავისა.

**მოთამაშენი:** ქ-ნი სავაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა, ტარიელოვისა, ციციშვილისა: ბ-ნნი აბაშიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, სავაროვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

ანონსი: მზადდება ახალი ისტორიული პიესა მტარვალი.


---

წლიური კრება კავკასიის იურიდულ საზოგადოებისა მოხდება 20 ნოემბერს 1890 წლისა, საღამოს 8 საათზე, ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგომში.

განსახილველი საგნები:

1) ამორჩევა ახალის წევრებისა და სხვა საადმინისტრაციო საგნები.

2) ანგარიში საზოგადოების თანამდებობის კაცთა:

ა) საზოგადოების მდივნის ა. ს. ფრენკელისა.

ბ) საზოგადოების ხაზინადრის ნ. პ. სმიტტენისა.

გ) რადგან მეწიგნთ-საცავე აქ არ არის, იმის მაგიერ ანგარიში საზოგადოების თავმჯდომარის თ. ა. ბიკოვისა.

3) ამორჩევა საზოგადოების თანამდებობის კაცთა $^{1890}/_{1891}$ წლისათვის.

4) რეფერატი საზოგადოების წევრის ა. ს. ფრენკელისა: ინსტიტუტი გექილთა საგლეხო საქმეთათვის.

საზოგადოების წესდების მე-17 § ძალით კრებაზე გარეშე კაცთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

---

## ქალაქის საბჭოს მესამე რიგის ხმოსნების არჩევანების შესახებ.

„ივერიის“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ გუშინ-წინ, კვირას, „საბრანიის“ დარბაზში მესამე რიგის ხმოსანთა არჩევანი უნდა ყოფილიყო. ხალხი ბლომად მოვიდა. განსაკუთრებით ქართველებს ეტყობოდათ დიდი ხალისიანობა, უწინდელს ხანგრძლივს გულ-გრილობას ვერავინ შეამჩნევდა ქართველს ამომრჩევლებს. ყმაწვილ-კაცობამ დიდი მონაწილეობა მიიღო არა თუ მარტო იმით, რომ მოვიდა დარბაზში თავისის უფლების გამოსაყენებლად, არამედ იმითიც, რომ ქართველთა შორის არჩევანის ხალისი დაჰბადა და განაძლიერა. ამას გვიმტკიცებს რიცხვი ქართველ ამომრჩევლებისა, რომელნიც ან თითონ იყვნენ მოსულნი ყრილობაზე ან ვექილობა გადაეცათ მოსულთათვის. თუ არა ვცდებით, ქართველებს ამ ნაირად ხელში ჰქონდათ 220 მეტი ხმა. საზოგადო რიცხვი კენჭისა იყო 500, ან ცოტა მეტი.

თითქმის ორს საათამდე იმას მოუნდნენ, რომ გასინჯეს კანდიდატების სია და დათვალეს, ვის რამდენი რჩეობდა კანდიდატად. სულ კანდიდატების რიცხვი იყო 112. ეს რომ გაათავეს, ქალაქის თავმა გამართა კრება და არჩევანები უნდა დაწყებულიყო. ქალაქის თავს ჰსურდა, რომ არჩევანი ისევ იმ რიგად ეწარმოებინა, როგორც წინად ყოფილა, ესე იგი რომელმა კანდიდატმაც მეტი საკანდიდატო ხმა მიიღო, მისი ყუთი პირველად დაიდგასო და ასე, ამ რიგად მიჰყვეს სხვა ყუთებიცაო. პირველად ერთმა ამომრჩეველმა, ბ-ნმა შაჰ-აზიზიანცმა, შემდეგი წარმოსთქვა: „აქ ხმა დადის, ვითომ ვიღასაც თავისი მომხრენი დარიგებული ჰყავს, რომ პირველს 24 ყუთში სულ თეთრები ჩაყარეთ და მერე დანარჩენებში შავიო. ამიტომ ვსთხოვ ქალაქის თავს კრების თანხმობით შესცვალოს უწინდელი წესი კენჭის ყრისა და ყუთები დააწყოს ან ანბანის რიგზე და ან წილის ყრითაო. ასეთს თხოვნას მით უფრო საბუთი ჰქონდა, რომ ქალაქის თავმა კანდიდატების სიის მიღება მოსპო 10 საათსა და 20 წუთზედ, თუმცა ეს ვადა სიების მიღებისა წინადვე არ იყო გამოცხადებული. გამოცხადებული რომ ყოფილიყო და ყველასა სცოდნოდა ეს გარემოება, ამომრჩეველნი უფრო ადრე მოიყრიდნენ თავს, დაამშურებდნენ თავიანთი სიების კანდიდატების წარდგენასა და შეიძლებოდა იმ კანდიდატს, რომელიც ეხლა ხუთის კაცისაგან იყო წარდგენილი, შემდეგ სხვა მომხრეც მოჰმატებოდა და უფრო მეტი ხმა მიეღო საკანდიდატოდ. ამას გარდა საკვირველია ისიც, რისთვის დასჭირდათ იმისი წერილად გამოძიება, რომელი კანდიდატი რამდენის ამომრჩევლისაგან არის წარდგენილიო. ამ საქმეს ორ საათამდე მოუნდნენ და სრულიად უსარგებლოდ აცდევინეს უარაროდ მთელს კრებას, რადგან სულ ერთია, ერთის ამომრჩევლისაგან იქნება წარდგენილი კანდიდატი, თუ ასისაგან, მაინც კენჭი უნდა ეყაროს.

ბ-ნ შაჰ-აზიზიანცის სარჩიელმა დიდი აყალმაყალი ასტეხა. ყრილობამ სიხარულით მიიღო ეს წინადადება და „ბრავო“-ს ძახილს ბოლო არა ჰქონდა. მხოლოდ ქალაქის თავმა არ მოიწონა ეს ახალი წესი. ვისაც-კი ლაპარაკი უნდოდა ამ საგნის შესახებ, არავის ლაპარაკის ნებას არ აძლევდა და ყველას აჩუმებდა. ეტყობოდა, რომ არ ეპაშნიკა ეს მოულოდნელი სარჩიელი. ყრილობა-კი თავისას არ იშლიდა და დიდის დაბეჯითებით თხოულობდა, რომ ბ-ნ შაჰ-აზიზიანცის აზრი შეწყნარებულ იქმნასო.

ამ ყვირილსა და ალიაქოთში ერთმა აფიცერმა მოითხოვა სიტყვა და, უნდა გულ-წრფელად ვსთქვათ, უალაგო-ალაგას, უდროო-დროს შეეხო იმისთანა საგანს, რომლის გამო ლაპარაკი სრულიად მეტი იყო. ამისმა სიტყვამ ძალიან აალელვა ბ-ნი იზმაილოვი, გამგეობის წევრი, რომელმაც მიჰმართა აფიცერსა და უპასუხა: „Вы солгали“-ო. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ბ-ნმა იზმაილოვმა შემდეგ თავისი ნათქვამი გაისწორა და გამოაცხადა: რომ მე ვსთქვი «Вамъ солгали»-ო, ხოლო თუ თქვენ „Вы солгали“-თ მოგესმათ, ბოდიშს ვიხდიო. ამასთანავე აღელვებული ყრილობა დიდის ყვირილით თხოულობდა ყუთების დადგმას ანბანის რიგზე. ესეთი ენერგიული, არა ჩვეულებრივი ინადი ამომრჩევლების მხრივ არ მოეწონა ბ-ნ მატინოვს, კრება დასტოვა და წავიდა. ისეთი ხმაურობა ასტყდა, რომ აღარა ისმოდა-რა. ბოლოს ბ-ნი იზმაილოვი შედგა სტოლზე და ყრილობას მოახსენა: მე ვკისრულობ ქალაქის თავის დაბრუნებას, თუ პირობას მომცემთ, რომ დაემორჩილებით იმის სურვილსაო. ყრილობამ ერთხმად დაიძახა: არა, არა და არაო!

ამის ნახევარი იყო, რომ ხალხმა დარბაზი დასტოვა და დაიშალა.

ჩვენ არ შეგვიძლიან უყურადღებოდ

---

## ფელეტონი

### ასის წლის წინად

II

### ტიკინი.

ივლისის ცხელს დღეს ფოსტის ეტლი შარა გზაზე გაქანებული მიდიოდა! ახლად დაყრილს ქვიშაზე ხან ქუხილსავით გაისმოდა ეტლის რახუნი და ხან მთლად მიწყნარდებოდა ხოლმე მისი ხმა. მიყრუებულს გემშირის ტყეში შიგა და შიგ მწვანედ შემოსილი მინდვრები მოჩანდა. შემოსული ყანა ნელის ნიავისაგან ზღვის ტალღასავით ჰღელავდა. ტყის გასწვრივ-კი მშვენიერად შეკეთებულის ხეივნებითა და პატარ-პატარა ბილიკით შემკული ბაღები მოჩანდა. ბაღების თავში სოფელი იყო გაშენებული. სოფელში ერთნაირი დაბალი, პატარა ფანჯრიანი სახლები მწყრობად იყო ჩამწკრივებული. სოფელს შუა და განაპირებით ეკკლესიის სამ კუთხიანი სამრეკლოა აღმართული. ეტლი მიუახლოვდა სოფელს, შევიდა სოფელში, სოფლის პატარა ბავშვები უკან აედევნენ... ეტლი გასცდა სოფელს... დაქანცული ბავშვები იქვე სოფლის განაპირს მინდორზე წამოეყარნენ. ეტლი აღმართს შეუდგა. მეეტლე ჩამოხტა კოფოდგან და ფეხით ალერსით გაჰყვა ცხენებს. აღმართი გადაიარეს. მეეტლემ ააშურა ცხენები. ფოსტის სადგური ახლო იყო და სადგურში ნელა მისვლა ლაჩრობად ჩამოერთმეოდა...

მეჯინიბემ და მეეტლემ ეტლიდგან ცხენები საჩქაროდ გამოუშვეს. სადგურის მედუქნემ თავის სავაჭროში შეიპატიჟა მგზავრები და რამდენჯერმე ჰკითხა:

— რა ამბავია საფრანგეთშიო!..

ამასობაში მეეტლემ დააბინავა კიდეც ცხენები და დუქნის საზოგადო დარბაზში შევიდა დასანაყრებლად... ნახევარს საათს შემდეგ ეტლი კვლავ გაუდგა გზას. ეხლა ეტლში სულ ორი ადამიანი-ღა იჯდა: თხუთმეტის წლის ბიჭი და პატარა ქალი. ქალი თვალად თორმეტ-ცამეტის წლისაზედ მეტი არ იქნებოდა. ქალი პატარა, სუსტი და გაცრიაგებული იყო, მაგრამ მეტის-მეტი მიმზიდველი სახე-კი ჰქონდა. ბიჭი თეთრ-წითელ ძარღვა და ცოცხალი ბავშვი იყო. ხელ-ფეხი მეტად დიდრონი ჰქონდა და მუხლები როგორღაც მოეკეცა. ეს სიმახინჯე სრულიად არ ეტყობოდა, ისე მკვირცხლი და მოხერხებული სიარული და მიხვრა-მოხვრა ჰქონდა. ბიჭს წინ შეუკვრელს უბრალო წინდებზე წუღები ეცვა. ასეთივე სადა ტანისამოსი ჰქონდა ტანზედაც. ქალს თუმცა უფრო უბრალო და ძველი ტანისამოსი ეცვა, მაინც ნათლად ეტყობოდა, რომ უფრო კარგს ოჯახს ეკუთვნოდა, კარგის გვარიშვილობისა იყო. ეტლში ქალს ეძინა. ბიჭმა დომინიკმა თავით ხურჯინი დაუდო, ზედ შალი დაჰხურა და გულ-მოდგინედ დარაჯობდა და უსწორებდა საბანს, რომელიც ეტლის რხევისაგან ქალს ხშირად ეხდებოდა. ქალი ხან-და-ხან აახელდა ხოლმე თვალსა და ნელის ხმით ეტყოდა თანამგზავრს:

— მადლობელი ვარ, დომინიკ!..

დომინიკი გაიყურებოდა ეტლის ფანჯარაში და გულ-მოდგინედ ადევნებდა თვალს მინდორში მომუშავეთ... უცებ, თითქო მოაგონდა რამეო... დომინიკამ გადმოხედა მძინარე ქალს... მზრუნველობა და განუსაზღვრელი პატივის-ცემა იხატება იმის სახეზე... აგერ მზე მთებისკენ გადიხარა... და დედამიწას ჩრდილი მოეფინა. მცირე ხანიც და თვალი მწვანეს ვეღარა ჰხედავს, ყველაფერი გაშავდა, ყველაფერი ჩრდილმა შეჰმოსა. ძლიერ შორს კუმეტს სიბნელეში მოჩანს სანთლის სინათლე... სინათლე თანდა-თან უფრო ნათლად სჩანს... ლონდონის ქუჩების სანათურებია... ნახევარ საათიც და ეტლი „ოქროს ლუზად“ წოდებულ ბაკის კარებზე შესდგა. ბაკეში ორი ადამიანი ელოდდებოდა ეტლის მოსვლას.

ბ-ნი ბოში, ფილოსოფოსსავით დაფიქრებული, ჩამომჯდარა სკამზე და თავ-ჩაკიდებული კრიალოსანზე რაღაცას ანგარიშობს. მკერვალი ქალი ვენსანი გაჭარხლებული ხელების ფშნეტით დარბის ბაკის წინ და რაღაცას ბუტბუტებს. ბაკთან ეტლი გაჩერდა თუ არა, ვენსანი მივარდა მეეტლესა და გახარებულმა ჰკითხა:

— ჩემი ტიკინი მანდ არის?

— მეეტლე გაშტერებული შეჰყურებდა და არ იცოდა, რა ეპასუხნა. მეეტლეს სიჩუმემ გააბრაზა ვენსანი და გაკაპასებული დაფიქრებულს ბოშს მივარდა. სწორედ მოთმინებიდგან გამოვყევარ შენს გულგრილობას! ვერა ჰხედავ, ვიღაც მხეცი მეეტლეა, ვერა გავიგე-რა იმისი, შენ-კი დამჯდარხარ და ბურნუთსა სწევ და ყურადღებას არ მაქცევ! არა, განა არ შეგიძლიან როგორმე დამეხმარო? მით უფრო, რომ ნება მაქვს შენგან დახმარება ვითხოვო. ბოშმა ნება-უნებურად წამოიწია. საბურნუთე ჯიბეში ჩაიდო, მიუახლოვდა მეეტლესა და ჰკითხა:

— პარიჟიდგან არაფერი ამანათი არა გამოუტანებიათ-რა ქ-ნ ვენსანის სახელობაზე?..

— არაფერი არა გამოუტანებიათ-რა!

ქ-ნი ვენსანი საშინლად გაბრაზდა! ასე მოუთმენლად ელოდდა ტიკინსა და ხელ-ცარიელი-კი დარჩა.

დავტოვოთ რამდენიმე გარემოება ამ ყრილობისა და საზოგადოდ არჩევანებისა. ჩვენ აქამომდე გვეგონა, რომ ქალაქის თავი არსებობს ყრილობისათვის, ამომრჩეველთათვის, და არა ყრილობა ქალაქის თავისათვის. რომლის კანონის ძალით არ ინდომა ბ-ნ მატინოვმა საზოგადო ყრილობის სურვილის აღსრულება? რად გააუქმა ყრილობა? რატომ არ უნდოდა ყუთების დადგმა ანბანის რიგზე და ამით მიზეზი რად მისცა ეფიქრათ ვითომც მართლა ადრევე პირობა რამ ყოფილა დადებული და ზოგიერთი ამომრჩეველი გაძრახული ჰყოლიათო? რატომ წინადვე არ იყო გამოცხადებული, რომ კანდიდატების წარმოდგენა შეიძლება მხოლოდ 10 საათსა და 20 წუთამდეო? რასა ჰნიშნავს ასეთი თვითნებობა? ნუ თუ მართლა დასაჯერებელია ის ათას გვარი არა-სასიამოვნო ხმა, რომელიც ჩვენის ქალაქის არჩევნების შესახებ დადის? სამწუხაროა ჯერ ის გარემოება, რომ ჩვენში იმასაც-კი აქვს მნიშვნელობა და გავლენა არჩევანებზე, თუ როგორ იქმნება დადგმული ყუთებიო: ანბანის რიგზე, თუ სხვა ნაირად. გულისტკივილით უნდა ვაღიაროთ ის გარემოება, რომ ჩვენი საზოგადოებრივი შეგნება და ცნობიერება ფეხ-აუდგმელი და ფრთა-გაუშლელია. მაგრამ რასა იქ, რა-კი ეს ასეა, ყოველ გვარი საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ როგორმე მოვსპოთ ეს გავლენა. გუშინწინდელს ყრილობას კარგად შეეგნო ეს გარემოება და ამიტომაც არ მისცა შეძლება ბ-ნ მატინოვს, რომ თავისი გაეყვანა. ახალ საბჭოს პატიოსნების დასამტკიცებლად, იმის დასასაბუთებლად, რომ არჩევანებ სწარმოებდა კანონიერად და სისწორით, ქალაქს თავს უნდა მიეღო ყრილობის სარჩიელი და შეესრულებინა მისი სურვილი.

საზოგადოდ არჩევანები ისე უნდა მოხდეს ხოლმე, კენჭის ყრის წესი და რიგი ისეთი უნდა იყოს, რომ მხოლოდ კენჭის პატრონმა სახელდობრ იცოდეს, რომელს კანდიდატს ვაძლევ თეთრს კენჭსა და რომელს—შავსაო, იმიტომრომ სხვა-და-სხვა გავლენიანმა ვაჟბატონებმა არავითარი ზედ-მოქმედება არ იქონიონ ამომრჩეველზე. განა შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ჩვენში ასე სწარმოებს არჩევანი? ჩვენში ისეა, რომ, თუ მოწადინებულია ვინმე, ყოველთვის შეუძლიან შეიტყოს, ამა-და-ამ ამომრჩეველმა თეთრი კენჭი ჩაუგდო კანდიდატს, თუ შავიო. გარდა ამისა, ზოგიერთი ამომრჩეველი ისეთი უხერხულია, რომ კენჭს ვერ ჩააგდებს ხოლმე ყუთში და ზედ ყუთზე ანარჩუნებს. ამ გარემოებით სარგებლობს შემდეგი ამომრჩეველი, დარჩენილ კენჭს სურვილისამებრ მოიხმარებს ხოლმე და ან შავში, ჩაუძახებს თუ კანდიდატი არ მოსწონს, ან თეთრში—თუ კანდიდატის მომხრეა.

სასურველია, რომ ამომრჩევლებმა მომავალს არჩევანებში, რომელიც უეჭველია დანიშნული იქნება კვირის, 25 ნოემბრისათვის, ისევ ისეთი ინტერესი, ხალისი და სიცოცხლე გამოიჩინონ, როგორიც წარსულს კვირას შევამჩნიეთ.

არ შეგვიძლიან ისე დავაბოლოოთ ეს წერილი, რომ არ მოვიხსენიოთ კიდევ ერთი სამწუხარო გარემოება. კრებაზედ ისეთი უმართებულო სიტყვა-პასუხი იყო ნახმარი, რომ მთელი ყრილობა აღელვა. მართალია კერძოდაც და ყრილობის წინაშეც ბოდიში მოიხადეს, მაგრამ მაინც და მაინც მოსაწონი და სასიამოვნო არ არის ასეთი ლაპარაკი და სიტყვა-პასუხი. როდის უნდა ვისწავლოთ ზრდილობიანი მოქცევა ჩვენს ტოლსა და ამხანაგობასთან? თუ ზრდილობასა და მართებულებას ამისთანა საზოგადო კრებაშიაც არ გამოვიჩენთ, მაშ როდის-ღა და სად-ღა უნდა გამოვიჩინოთ?!

ვანო ე—ი

## ახალი ამბავი

** გუშინ, ამ თვეის 19, დილის ათს საათზე წარუდგნენ სასახლეში ახლად ჩამოსულს კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწეს გენერალ ლეიტენანტ გრაფ ტატიშჩევს ტფილისის სასულიერო წოდების წარმომადგენელნი: მათი ყოვლად უსამღვდელოესობა გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე და ალავერდის ეპისკოპოსი ბესარიონი, სომხეთა ეპარქიის უფროსი ეპისკოპოსი მამბრე და აგრეთვე წარმომადგენელნი ფრანგთა, მაჰმადიანთა, ებრაელთა და სხვათა სამღვდელოებისა, კავკასიის კანცელიარიის მოხელენი და განსაკუთრებულ საქმეთა მოხელენი კავკასიის მთავარ-მართებლისა, სხვა-და-სხვა სამსახურის უფროსნი და სამოქალაქო უწყების მოხელენი მეხუთე კლასამდე, ტფილისის გუბერნიისა და მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლნი, ქალაქის თავი, ქალაქის გამგეობის წევრნი და სხვანი.

** განჯის გუბერნატორი, გენერალ ლეიტენანტი თავ. ნაკაშიძე ამ უკანასკნელს დღეებში ძალიან ავად გახდა ტფილისში და კვირას, ამ თვეის 18, საღამოს 5 საათზე, საგანგებო მატარებლით განჯას გაემგზავრა. თავ. ნაკაშიძეს თან გაჰყვა განჯის საგუბერნიო მკურნალი ბ-ნი გავრილკო.

** გუშინ-წინ, კვირისთვის, ორს ადგილას იყო დანიშნული ქართული წარმოდგენა, სათავად-აზნაურო ბანკის თეატრსა და სახალხო ქართულს თეატრში. პირველს თეატრში წარმოდგენა არ შესდგა, ქართულის მაგიერ რაღაც ოპერეტები წარმოადგინეს რუსულად, თუმცა-კი არ ვიცით, რა მიზეზით მოხდა ეს ამბავი. რატომ ადრევე არ აუწყეს საზოგადოებას, რომ არ იქნება წარმოდგენაო? ხალხი თავს იყრიდა და ისევ უკანვე ბრუნდებოდა წარმოდგენის გადადების გამო. თუ ასეთი საქციელი არ მოიშალეს ჩვენმა თეატრის გამგეებმა, ხალხს სულ ერთიანად შემოიფრთხობენ და მერე თითონვე დაემდურნენ თავის თავს. მეორე სახალხო თეატრში წარმოადგინეს აკაკი წერეთლის „კინტო“ და „სცენები მიროვოი სუდში“. მთელი დარბაზი სავსე იყო ხალხით.

** კვირას, ამ თვეის 18, ბანკის თეატრში ოპერეტის წარმოდგენის დროს შემდეგი უსიამოვნო ამბავი მოხდა: მაღლა ქანდარიდგან ვიღამაც ისროლა სცენაზე „სელიოდკა“ იმ დროს, როდესაც ქ-ნი ლარიზინასი მღეროდა. არტისტკას გული შეუწუხდა და მაშინვე გაიყვანეს. „სელიოდკის“ მსროლელი აღმოჩნდა ტფილისის კლასსიკურ გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფე შხიანცი, რომელიც პოლიციამ იმავე ღამეს დააპატიმრა და გუშინ-კი სასწავლებლიდგან გამორიცხეს.

** ეს მესამე დღეა, კვლავ ფოსტა რუსეთისა აღარ მოსულა ტფილისში, ალბად იმიტომ-რომ მთებში გზა გაფუჭებულა თოვლ ნავქერისა და ზვავის გამო.

** შაბათს, ამ თვეის 17, ტფილისის სახელმწიფო თეატრში წარმოადგინეს ოპერა „კარმენ“, რომელშიაც პირველად გამოვიდა ახალი ბარიტონი ბ-ნი რუბირატო. თეატრში ყველა ადგილი დაჭერილი იყო. რამდენისამე დღის წინად გაზეთებმა აუწყეს საზოგადოებას იმისი მოწვევა და მაღაზიებშიაც გამოკიდებული იყო ამ მომღერალის ფოტოგრაფიული სურათები სხვა-და-სხვა სახით, საყოველდღეო ტანისამოსით ჩაცმულისა და სხვა-და-სხვა ოპერის ჩაცმულობით. საზოგადოება ამიტომ ბლომად შეყრილიყო კარმენის წარმოდგენაზე. რაც შეეხება ახალ მომღერალს ბ-ნ რუბირატოს, თვალად და ტანად კარგის შეხედულობისაა: ტანადია, მოხდენილის სახისა, მიხვრა-მოხვრა თავისუფალი აქვს, მოძრაობა მსუბუქი. კარმენში გამოვიდა ისპანიურის ლამაზად შეხამებულს ტანსაცმელითა. საზოგადოება დაუხვდა ტაშის-კვრით, არტისტს ეტყობოდა მეტის-მეტი მღელვარება და პირველ ფეხის შედგმაზე წაიბორძიკა. სამღერალი ამ მღელვარებისაგან ვერ მოუვიდა კარგად, მაგრამ მღელვარებისაგან ისეთის სიფიცხით იმღერა, რომ ეს სიფიცხე და წამოსადეგობა მოეწონა საზოგადოებას. თვით სამღერი ძალიან ყრუდ მოისმოდა, საზოგადოებამ გაამეორებინა და მეორედ კარგად იმღერა. მესამედ უფრო, უკეთესად მოუვიდა. ტაშის-კვრა ძლიერი იყო, მაგრამ მაინც-და-მაინც იმ აღტაცების ღირსი-კი არ იყო, როგორც დაასაჩუქრეს არტისტი. ხმა იმისი დაბალს ნოტებში ძალიან ყრუდ მოისმის და უჭირდება; მაღალს ნოტებში მისი მღერა უფრო ტკბილად მოისმოდა. კარმენში საზოგადოდ ბარიტონს სულ სამი ნოემერი აქვს სამღერალი და ამ სამის ნომრით გადაწყვეტილი სჯა ძნელია. საკვირველია, რადა ამისთანა ოპერა ამოარჩიეს თეატრის გამგებლებმა, ახალ მომღერალის სადებუტოდ, რომელშიაც ასე ცოტა და უმადლო როლია ბარიტონისათვის. აი ამიტომ გადაწყვეტით ჯერ-ჯერობით ვერას ვიტყვით, ძლიერი გამართული ხმა აქვს ბ-ნს რუბირატოს, თუ არა.

** პარასკევს, 16 ნოემერს, დანიშნული იყო ბ-ნ იპოლიტოვ-ივანოვის ახალი ოპერა „აზრა“, რომელიც ტფილისშია დაწერილი. ოპერა ისპანიურს ცხოვრებას შეეხება. ისტორიული შინაარსი აქვს და არაბების მფლობელობის დროს წარმოგვიდგენს მეთხუთმეტე საუკუნეში. საზოგადოება ბლომად მოსულიყო თეატრში, მაგრამ არტისტების ავადმყოფობის გამო წარმოდგენა შემდეგისთვის გადასდეს.

** თიანეთი: ამ რამდენისამე დღის წინად ტყეში წასულიყვნენ ჯილაურელი ქალები შეშაზედ და თან წაეყვანათ 17 წ. ახალგაზდა ქალი მაია ქისტაურისაც. პატარა ხანს უკან მაიას თავი დაუნებებია ამხანაგებისათვის. როცა ეს უკანასკნელნი შეშის ჭრას შესდგომიან, შეუელია ხევ-ხევ და ერთის ხის ტოტზედ თავი ჩამოურჩვია თავისის ქამრით. ამხანაგი ქალები დაბრუნებულიყვნენ სოფელში და მაიას დედ-მამას სახლში შეეტყოთ, რომ მაია არ დაბრუნებულიყო. მაშინვე წავიდნენ საძებნელად და ქალი თავჩამორჩობილი დახვდათ. ამბობენ, რომ მაია ქისტაურისა ერთის თვეის ორსული აღმოჩნდა და უთუოდ ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ შეცდენილმა ქალმა სირცხვილს სიკვდილი ამჯობინაო. ასეთივე ამბავი მოხდა 5 ნოემბერს სოფელს ლუღელებში. იქაც ტყეში თავი ჩამოირჩო ახალგაზდა ქალმა მარო წიკლაურისამ. მესამე ამბავი ახალგაზდა ქალის-მიერვე თავის ჩამორჩობისა მოხდა ზემო თიანეთში. 12 ნოემბერს კიდევ სოფელს ნადოკარს მოხდა შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი: ვიღაც ბოროტმა და ავმა კაცმა დასჩეხა საზარლად ქერივი მეწყინა არაბული, ხანჯალი საცოდავს თორმეტ-ცამეტი ალაგასა აქვს დაკრული. მისი გასათხოვარი ქალი ამ დროს სტუმრად ყოფილიყო ნათესავებში და სახლში რომ დაბრუნებულიყო, დაენახა საზარლად დაჩეხილი დედა, გულს

---

— რა უნდა ვქნა ეხლა! წამოიძახა, იმედ-დაკარგულმა. მთლად დავიღუპე. ეს სულ დაწყევლილი ფილოსოფოსები, თუ რაღაც ჯანაბები არიან, იმათი ბრალია... გაიცანით, გაიცანით ბ-ნო ბოშო! და მე-კი, არა მკითხავთ; სულ რუსოს ბრალია. იმ დაწყევლილმა ყველას თავს ბრუ დაასხა! სულ რევოლიუციის მიზეზით მემართება ასეთი საქმე. განა მეფობის დროს ამისთანა საქმე შეიძლებოდა!

ვიდრე ქ-ნი ვენსანი ჯავრობასა და ვაი-ვაგლახში იყო, დომინიკამ თავის თანამგზავრი გააღვიძა.

— მადლინა, ლონდონში მოვედით!

მადლინა წამოდგა და თავის პატარა თითებით თვალები მოიფშვნიტა და თმა გაისწორა.

— ლონდონში ვართ? ჩემი ბიძა აქ არის?

— მე შენს ბიძას არ ვიცნობ და რა ვიცი, აქ არის თუ არა!..

მადლინამ ეტლიდგან თავი გადმოჰყო, მიიხედ-მოიხედა და ვენსანისა და ბოშის მეტი რომ ვერავინ დაინახა, იმედ-დაკარგვით უთხრა დომინიკას:

— ბიძა ჩემი აქ არა ჩანს... უიმისოდ რა უნდა გავაწყოთ ამოდენა ქალაქში მით უმეტეს, რომ არც აქაური ენა ვიცით და არც ფული გვაქვს! დომინიკ—ფული აღარა გაქვს განა?

— საუბედუროდ, მადლინა! ესერიდგან სოუტგამპთომდე შენი ბეჭედის ფასმა მოგვიყვანა. სოუტგამპოდგან აქამდის-კი დედიჩემისეულ საათის ფასმა... ეხლა რამდენიმე გროშიღა მაქვს...

ეტლის კარები გააღეს. მადლინამ ჩამოდგა ფეხი კიბეზედ, მაგრამ შედგა, თითქო ვერა ჰბედავს უცნობს ქუჩაზე გადმოსვლასაო. ბოლოს გაბედა და კოხტად მოხდენით გადმოხტა. მოძრაობასა და მიხვრა მოხვრაზედ ყმაწვილს ქალს ნათლად ემჩნეოდა, რომ შეძლებულისა და კეთილშობილის ოჯახის შვილი იყო...

ბოშმა შენიშნა ეს მოხდენილი ქალი და ჩუმად ვენსენს უთხრა:

— შეჰხედეთ! აგერ თქვენი ტიკინი; განსხვავება იმაშია, რომ სულიერია და არა უსულო, ცოცხალია.

— ეს ქალი? ოჰ, რა მშვენიერი აზრი მითხარით!

— როგორ მე?..

ქ-ნ ვენსენი მხიარულად მიუახლოვდა ახალგაზდა მგზავრებსა და ჩვეულებრივ ღიმილ - სიცილით დაუწყო ლაპარაკი.

— გეტყობათ საფრანგეთიდგან მოდიხართ და როგორღაც გაჭირებაშიაც ხართ!.. ნება მომეცით, რითაც-კი შემიძლიან, დაგეხმაროთ.

— მე ქ-ნ ვენსანისა გახლავარ! თეთრეულობისა და ტანსაცმელის საკერავი დუქანი მაქვს. დუქანი დინსტრიტის ქუჩაზე მაქვს და სახელადაც „პარიჟი“ ეწოდება! ეს-კი, ბ-ნი ბოშია, ჩემი მდგმურია!..

მადლინა მედიდურად გამოიჭიმა და შემთხვევის შესაფერი პასუხი მისცა, თუმცა-კი იმის მდგომარეობას მედიდურობა არ შეჰფეროდა.

— მე თავად კომბრევალის ქალი გახლავართ. ჩემი დედმამა ჯერ რენსა და შემდეგ პარიჟში წაიყვანეს განსასამართლებლად. პარიჟშივე გამოუცხადებს მართებლობა განაჩენს. გლეხებმა ჩვენი სადგომი დასწვეს და მე ჩემის ძიძითურთ გავიპარენით. სოფელ ჯერსეს რომ მივახლოვდი, ძიძა ავად გამხდა და გარდაიცვალა. დავრჩით ობლები უშემწეოდ. როგორც იყო, მე და ჩემი ძმობილი დომინიკა მოვედით გემ-სადგურამდე. სადგურიდგან ბიძა ჩემს სოვეს შევატყობინე, მოვდივარ აქ მეთქი...

— თავადი სოვე? წამოიძახა ბოშმა; საუბედუროდ, ჩემო კარგო, ისიც დატუსაღებულია და ეხლა ლილის საპატიმროში ჰზის.

— ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!.. ჩვენ-კი რაც ფული გვქონდა, მთლად დავხარჯეთ...

— ჩემთან წავიდეთ! ჩემს სახლში გაიცნობთ ყმაწვილს კაცს ვალერგსა და მღვდელს მარხი ლიავს... ისინიც თქვენსავით მისიონერები არიან...

— ვალერგი, მგონი ჩემი ნათესავი უნდა იყოს..

— უფრო კარგი!

— წამოვალთ, მაგრამ... რა უნდა მოგცეთ? ფული არა გვაქვს...

— თუ ეგ გიშლით... მე გაგიჩენთ ისეთს საქმეს, რომ ორივეს შეგეძლოთ ფულის შოვნა და თავის დარჩენა. შენი ძმობილი, ზედ ეტყობა, ღონიერი და ჯან-მთელი უნდა იყოს... მაგისათვის თითონ მეე მაქვს საქმე. აი თუნდა წყალი მომიტანოს ხოლმე.. თქვენთვის-კი... მაგრამ იქნება ისეთის რისამე ნიჭი გაქვთ, რომ საქმეში გამოგადგეთ და... ან თუნდა ხატვა, ან რომელსამე საკრავზე დაკვრა არ იცით?

— ღმერთო ჩემო! მე მარტო სათამაშო სურათების გამოჭრა ვიცი! მართლა, ხელის მჭნობაც ვიცი! იქნება მებაღედ გამოვდგე?

პატარა ქალის სიტყვებმა ღიმილი მოჰგვარა ვენსენსა და ბოშას...

— არა, ჩემო კარგო! უთხრა ვენსენმა; მე რომ საქმე გიშოვნო, მერე ისეთი, რომ ძვირფასი ფარჩეულობის ტანისამოსის ჩაცმა, მშვენიერად მორთულ ქუდის დახურვის მეტი არა დაგჭირდეს-რა, რას იტყოდი? მხოლოდ ასე მორთული ლონდონის კოხტა პრუწიებს უნდა ეჩვენოს ხოლმე.

— ეგ ხომ ადვილი საქმეა...

— თუ მაგრეა... შენთვინაც მაქვს საქმე... ახლა-კი წავიდეთ, თორემ ვინ იცის გზაზე მოგშივდათ...

(შემდეგი იქნება)

შემოჰყროდა და ძლივს მოებრუნებინათ მეზობლებს. ყველა ამ უბედურებათა მიზეზად ჰსახავენ აქეთ ძლიერ გავრცელებულს წაწლობას ანუ ქალ-ვაჟთა დაძმობილებას, რომელსაც ხშირად მოსდევს შეცდენა და გაწბილება გასათხოვარ ქალებისა, რაიცა ძველად ძალიან იშვიათი ამბავი ყოფილა. არაბულის ქერივის დაჩეხისა და მოკვლის ბრალსაც სდებენ მის გასათხოვარ ქალის წაწალს, რომლისთვისაც ქალის დედას ნება არ მიუცია თავის ქალთან წაწლად ყოფნისა.

*** გორი: 16 ნოემბერს შეაჩნიეს, რომ ვიღასაც უპარავს წვრილ-წვრილად გორის მომრიგებელ-სასამართლოს კასიდგან სახელმწიფო ფული, ხოლო უკანასკნელს ღამეს აღმოჩნდა, რომ კასიდგან წაღებული იყო ოც-და-ათ თუმნამდე. გამოძიება სწარმოებს და არ ვიცით-კი, ვინ აღმოჩნდება ამის მომქმედი და ოსტატი. თუმცა სხვა-და-სხვა ხმა დადის, მაგრამ რადგან ჯერ ნამდვილი არ ვიცით, ამიტომ ამ ხანად გადაწყვეტით ვერაფისზედ ვერაფერს ვერ ვიტყვით.

*** სოფ. ქუტირი (ქუთაისის მაზრა): ჩვენში საკმაოდ მოდის პური, ღვინო, სიმინდი და სხვ. აქაური ხალხიც მხნეა, ბეჯითი, ღვთის-მოყვარული. დიდი გუმბათიანი ეკკლესია-ქვითკირისა დიდი ხანი არ არის, რაც ამ სოფელმა თავის ხარჯით ააშენა. ეხლა კიდევ სამრევლო სკოლის დაარსების ზრუნვაში არიან. სამი თვალი ოთახი ამ აზრით კიდეც შენდება და მალეც სრულიად მზად იქნება. ასე თან და თან, ღვთით, წარმატებაში მიდის ჩვენის სოფლის ხალხი, მაგრამ ამ მკითხავებსა და მარჩიელებს-კი თავი ვერ დაანება. მაგრამ ან-კი რა ქნას: ნასწავლი მკურნალი არსად არის, თუ არის, ძვირად უჯდება მისი მოწვევა და წამლების ყიდვა და ისევ იმას ამჯობინებს, რომ მარჩიელთან წავიდეს. ოთხის წლის განმავლობაში ერთი მძიმე ავადმყოფი იყო აქ. იმის საცოდავობით სოფელი დაიწვა. ყველა სოფლის ექიმიც მოიღალა და ვერა უშველეს-რა. მხოლოდ ეხლახან ოპერაციით მოარჩინეს ქუთაისში, თუ არა ვსცდებით, ბ-ნ ს. თოფურიას სამკურნალოში. ხალხი ჰხედავს ამისთანა ამბავსა და ნელ-ნელა სჯერა, რომ მკითხავ-მარჩიელს ბევრად სჯობიან ნასწავლი ექიმი და მკურნალი; მაგრამ ეს არის სამწუხარო, რომ ღარიბის გლეხ-კაცობისთვის ცოტა არ იყოს ძნელი მისაწვდომია ნასწავლი ექიმიცა და მისი წამლობაც.

*** სურამი. 14 ნოემბრიდამ ჩვენმა დაბამ მეტად იცვალა ფერი. ისე გაივსო აქაურობა ხალხით, რომ ქუჩაში ფეხს ვერ აუქცევთ. სდგას ერთი ღრიანცელი, ხმაურობა, ჟივილ-ხივილი. ისმის ზურნის ხმა, სიმღერა, არღნების ჰიჭყვინი და სხვ. სულ ყოველივე ეს იმის მიზეზით არის, რომ აქ მოიკრიბეს თავი „კენჭის კაცებმა“, როგორც უწოდებენ ჯარში გასაყვან ყმაწვილ-კაცებს. 15 ნოემბერს მოვიდა სამხედრო ბეგრის კომისია, რომელსაც ჰყავს მოწვეული 26 სამამასახლისოს „კენჭის კაცნი“, რიცხვით სულ 718-მდე. ამათში კენჭი უნდა ერგოს მხოლოდ 59 კაცს. კრების დაწყებამდე კომისიის თავმჯდომარემ, გორის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა, ბ-ნმა ი. სულხანიშვილმა მიჰმართა მამასახლისებსა და მათგან მოყვანილს კენჭის კაცებსა და უთხრა, რომ არამცა და არამც არ აჰყვეთ ზოგიერთს გაქნილსა და გაიძვერა კაცებს, არ დაუჯეროთ, რომ ვითომ იმათ შეუძლიანთ შველა და ამოშვება კენჭიდამ კენჭის კაცისა. ნუ გაეყურებინებით ნურავის და, თუ რამ სათხოვარი გაქვთ, პირდაპირ კომისიას მიჰმართეთო. შემდეგ შეუდგნენ იმის შემოწმებას, თუ მოწვეულთა შორის რამდენი მოვიდნენ და რამდენი აკლდა. აღმოჩნდა, რომ 160 კაცი არ გამოცხადებულიყო. ბოლოს წილის ყრით გადასწყდა, რომელ სამამასახლისოს კაცებს, როდის უნდა ამოეღოთ კენჭი. ამ საქმეს საღამომდე მოუნდნენ. კენჭის ყრა 17 ნოემბრისთვის გადაიდო.

*** ამ თთვის 17 ხართუხში, მარიამ ვასილიევის სახლში, ტფილისის მცხოვრებელის სტეფან ბაშნოვის ცოლმა მარიამმა დასტოვა სახლში გახურებული მაყალი, რის გამოც ტახტს ცეცხლი გაუჩნდა და იქიდგან მოედო მთელს ოთახს. ცეცხლი შინაურულის საშუალებით ჩააქრეს და ასი მანეთის ზარალი მოუვიდათ.

*** ამავე დღეს, ღამის 11 საათზე, ნიკოლოოზის ქუჩაზე, იოსებ არშარუმოვის დუქნის სადგურიდგან მოიპარეს ორი პალტო, ქალის წამოსასხამი და ქურქი, ღირებული სულ 265 მანეთად.

*** ამ თთვის 17 და 18 ღამით პოლიციის მეექვსე ნაწილში პოლიციელმა დიმიტრი შევჩუკმა შეიპყრო ალი-მამად-ოღლი, რომელსაც მოეპარა და შეხვეული მიჰქონდა 2 ქალის წამოსასხამი და ერთიც ფარაჯა.

*** ამავე დღეს, დილის 9 საათზე, თელავის მცხოვრებელმა ალექსანდრე ბუღდანის ძემ კირაკოზოვმა გამოაცხადა, რომ გუშინ, ღამის 11 საათზე, მიხეილის ქუჩაზე, ჩემის სადგურიდგან მომპარეს 181 მან. 40 კაპ. ღირებული ნივთეულობაო. პატრონმა ეჭვი თავის მეზობელს მამედ-ოღლისა და აბას-ალი-მამედ-ოღლიზე მიიტანა.

*** 17 ამ თთვისას, ნაშუადღევის 4 საათზე, ბულვარის ქუჩაზე იპოვნეს ვიღაც ავადმყოფი კაცი 40 წლისა. ავადმყოფი პოლიციაში წაიყვანეს და იქვე გარდაიცვალა. გარდაცვალებულის გვამი საანატომიო თეატრში გაჰგზავნეს.

## ისტორიული მასალა მეფე ირაკლის ცხოვრებისა.

(შემდეგი*)

### № 12.

„ქ. შენ ხომ იცი ჩვენ ჯარში ყოფნა როგორ გვინდა. ჩვენი საქართველობა აქედამ ამას შინჯავს: თუ ისინი გამოვიდნენ და ომი მოუხდესთ, თქვენ მინდორზე შებმას ეცადენით; კინკლაობასა და იმათსავით თოფების მიშველებასა და ისე შებმას დაეხსენით. თქვენ ერთიანათ თქვენის ძალით, ღვთით მიაწექით და ზარბაზნები წინ წინ მიიმძღვანეთ. ქვეითი კაცი იბრეიმ ხანსაც ბევრი ეყოლება; ცხენიანიც რომ დააქვეითოთ და ისე მიხვიდეთ, ზარბაზნებიც წინ მიიმძღვაროთ და ომი ზარბაზნებს დააცალოთ; ჩვენი გონება ამას უმჯობესათ ხედავს, რომ ღვთით ამ გზით შეებათ. ჩვენ ეს სიტყვა მირზა გურგინსაც დავაბარეთ, რომ იბრეიმ ხანს მოახსენოს და ეხლა შენთვისაც ეს მოგვიწერია. თქვენ რომ არ აუჩქარდეთ, დააცალოთ, ისინი თქვენზე მოიყვანოთ და თქვენ იმათზე არ მიხვიდეთ, — ისი სჯობს რომ ისინი თქვენზე მოსვლით დაღადოთ და ღვთით თქვენ იმ დაღალულს ერთიანათ შეებათ; ისინი აქედ-იქიდამ ტანებს დაგიწყებენ, თქვენ ზარბაზნის სროლის მეტს ნურას იქთ. ისინი ამაში რომ დაიღალვიან, მასუკან ერთიანათ მიაწყვით და ღვთით თან გაიტანთ. [გრძელი]

ეს წერილი ცხადად ამტკიცებს, რომ ირაკლი მეფე კარგად მცოდნეა მტრისა, იცის საქმე ვისთან აქვს და გამარჯვებისათვის რა სახე მოქმედებაა საჭირო. ამასთან გვარწმუნებს, ირაკლი რა გვარ მოქმედებდა მინდვრად მტერთან: იგი ამჯობინებს მოგერებით (выкидательно оборонительное положеніе) მდგომარეობას წინააღმდეგ მინდვრად გამოსულის მტრისა, ვიდრე ზედ-მისვლითსა (наступательное) მახზედ, წინ-კი ზარბაზნების მიძღოლას, სროლასა და მით ომის დაწყებას. ირაკლი მართლაც ასე იქცეოდა ხშირად, მაგ. აზატხანთან ბრძოლის დროს რომ უბრძანა ჯარს: არ აჩქარდეთ, სანამ ჩემი თოფი არ გავარდეს, კრანტი არავინ დასძრათო. ამ წერილს თუმცა თარიღი არ უზის, მაგრამ იბრეიმ ხანის მონაწილეობა საკუთარის ჯარით გვაფიქრებინებს, რომ ეს წერილი არის ირაკლისაგან მიწერილი 1785 წ., როდესაც, ომარხანის გამარჯვებითა და ძლევა-მოსილობით გაქეზებული — განჯა უკუდგა და გამოაძევეს მისანდო კაცნი ირაკლი მეფისა და იბრეიმ-ხანისა (ყარაბაღის ხანისა). იბრეიმ-ხანმა შემწეობა სთხოვა ირაკლის, მაგრამ რადგან ამ დროს გენერალი ბურნაშოვი სწორედ ომის დაწყების დროს გამობრუნდა ჯარით „იმპერატრიცას ბრძანებით დღესვე უნდა რუსეთს წავიდეო“ (როგორც ტოტლებენი 1770 წ.) და ქართლშიაც ირაკლის ყოფნა ფრიად საჭირო იყო, — ირაკლიმ იულონის მეთაურობით ჯარი მიაშველა განჯაზედ მისულს იბრეიმ-ხანს. იოანე აბაშიძეც რასაკვირველია იულონთან იმყოფება. მირზა გურგინ (ენიკოლოფაშვილი) თვით ყარაბაღელი სომეხია, რომელსაც მეფე ირაკლი საიდუმლო მინდობილობით ელჩად ჰგზავნიდა აქეთ-იქით. შემდეგში (1789 წ.) იბრეიმ-ხანმაც უღალატა მეფე ირაკლის. იხ. ქართ. ცხ. 511 გვ.

მღვდ. კარბელაშვილი

(შემდეგი იქნება)

## რუსეთი

ამ დღეებში ფინლიანდიის სისხლის სასამართლომ ერთს გლეხს გვარად გუშმელს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა მხოლოდ იმ დანაშაულისთვის, რომ უბრალო ვერცხლის ნივთი მოეპარა, როდესაც ვიღაცის სახლი იწვოდა თურმე და გარშემო ხალხი დასტრიალებდა გასაქრობად. ამ ნაირი სასტიკობა ფინლიანდიის კანონებისა ძველის ადათების ბრალია. ძველად თუმცა სიკვდილს გადაუწყვეტავდნენ ხოლმე, მაგრამ დასჯით-კი არა სჯიდნენ და ან ციმბირში გზავნიდნენ ან ციხეში აპატიმრებდნენ... ძველს დროს შვედებს კაცის კვლა უფრო ნაკლებ დანაშაულად მიაჩნდათ, ვიდრე მოპარვა და ქურდობა იმიტომ, რომ შემდეგში კაცის მკვლელს თავისი სინისივე დაჰქენჯნავს და დასჯისო, ხოლო ქურდმა-კი სინიდისი არ იცისო.

— შუა აზიის გამოფენა, რომელიც მოსკოვში უნდა გაემართად ამ წლის დეკემბერში, მომავალის წლის თებერვლამდე აღარ გაიმართება სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო. ამ გამოფენის კომიტეტმა სთხოვა ვარშავის „რუსეთის მრეწველობის დამხმარებელს საზოგადოებას“, გეიშუამდგომლე, რომ ვარშავასი და ვისლის მხარეს ვაჭრებმა მონაწილეობა მიიღონ ჩვენს გამოფენაშიო. საზოგადოებას განუზრახავს კომიტეტის თხოვნის შესრულება და ამ საგნისათვის ცალკე კომისია დაუნიშნავს.

— ვარშავაშიაც მოუწოდინებია ზოგიერთს ვაჟბატონს „შანტაჟით“ ხელის მოთბობა. ამას წინად ქ-ნს კ—ს წერილი მოუვიდა, ამა-და-ამ მეიდანზე მოდი და ხუთი თუმანი ჩამაბარე, თორემ შენს ქმარს ყველა შენს საიდუმლო საქმეს შევატყობინებთ წერილითაო. თითქმის იმავე დროს ვილნოს გუბერნიის მემამულეს ტ—ს მოუვიდა წერილი, აი ამ კაცის სახელობაზე 25 მ. გამოგზავნე, თორემ შენს ცოლს წერილს მივწერთ და ყველაფერს ავუწყებთ შენს აქეთ-იქით ჩუმ-ჩუმად სიარულსაო.

— უმანის მაზრის სოფელს ოსიტნაიაში შემდეგი უბედურება მომხდარა: ერთი გლეხი ცოლ-ითურთ სხვაგან წასულა და თავის პატარა ვაჟიშვილი მეზობლის პატარა გოგოსთვის მიუბარებია. ბავშვებს თამაშობა დაუწყიათ, უპოვნიათ ერთი კოლოფი წუმწუმა და თითო-თითო უნთიათ. ერთი ანთებული წუმწუმა იქვე ნაყარს ძონძებს დასცემია და ცეცხლი გაჩაღებულა. პატარა ხანს შემდეგ ცეცხლი ბავშვებსაც წაჰკიდებიათ და თუმცა ცოცხლების გამოყვანა მოუსწრიათ სახლიდგან, მაგრამ საწყლებს ისე დახრუკვიათ ტანი, რომ ორს საათს უკან ორივეს სული დაულევია.

## წვრილი ამბები

საფრანგეთის ზემო ვიენნას დეპარტამენტში სცხოვრებს ერთის გლეხის კარგად შეძლებული ოჯახი. ამ ოჯახის მამა ჟან პუზი, მისი ცოლი და 17 წლის შვილი ლიმოჟის სასამართლოში იყვნენ დაბარებულები, რადგან ახალგაზრდა კაცის პიერ გრასსეს მოკვლა ჰბრალდებოდათ, რომელიც მათთან მოჯამაგირედ იყო.

გრასსეს მოჯამაგირობის დროსვე შეუყვარდა თავის ბატონის ქალი ფრანსუაზა პუზი, რომელიც მაშინ მხოლოდ 15 წლისა იყო. ფრანსუაზას პაჟიც ეყოლა, მაგრამ დაბადების დღესვე მოკვდა. გრასსემ თავის ბატონსა სთხოვა, მომათხოვე შენი ქალიო, მაგრამ ბ-ნი პუზი უარზე შედგა, მე შენისთანა ღარიბებს ქალს არ მივათხოვებო. ამას შემდეგ მამამ სხვა სასიძოს დაუწყო ძებნა. ოთხი ხუთი ახალგაზდა შეაგულა და თავისს ქალს უთხრა, რომელიც გინდა, ამოირჩიე იმათშიო. ფრანსუაზამ პირდაპირ გამოუცხადა თავისს მამას, გრასსეს ვერ ვუმტყუნებო. ქალს თავისი ოთახი სხვენში ჰქონდა და გრასსე თითქმის ყოველ ღამ დაიარებოდა იმასთან.

ერთს ღამეს ფრანსუაზას ბიძაშვილი ქალი, რომელიც ღამ-ღამე მასთან იყო ხოლმე, ჩაიპარა და ჟან პუზას შეატყობინა, შენის ქალის საყვარელი გრასსე ეხლა აქ არისო.

ჟან პუზიმ რევოლვერს წამოავლო ხელი, გააღვიძა თავისი ცოლი და შვილი, იმათაც კეტები აიღეს და ყველანი ერთად წავიდნენ ფრანსუაზას ოთახისაკენ. ამბის მომტანი ნათესავი ქალი წინ მიუძღოდა და როცა ფრანსუაზას ოთახთან მივიდნენ, უეცრად კარები გააღო და დაიძახა: „აგერ აქ არისო“! გრასსეს წინადვე ფეხის ხმაზე შეეტყო, ვიღაც მოდიანო და ტახტს ქვეშ დამალულიყო, მაგრამ საწყალს ფეხებში ხელი წაავლეს და ისე გამოათრიეს. ჟან პუზიმ რევოლვერი დაუმიზნა, მაგრამ არ გაუვარდა. მაშინ ცალიერის ხელებით წასწვდა გრასსეს ყელში და ისე დაარჩო. ამ დროს პუზის ცოლი კეტითა სცემდა გრასსეს თავში და შუაზე გაუხეთქა. არც ვაჟიშვილი იდგა უსაქმოდ; ისიც უტყეპდა, სადაც მოჰხვდებოდა. გრასსეს გული შეუწუხდა, ის იყო სულსა ღევდა, მაგრამ ისინი მაინც არ უშვებდნენ და საწყალს სულთმობრძავს უარესს დღეს აყენებდნენ.

ამ ამბავს შემდეგ ჟან პუზიმ ბუხარი აანთებინა და გვერდზე მოუჯდა არხეინად ჩიბუხის წევით, თითქოს სრულიად არაფერი მომხდარაო.

ლიმოჟის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ არც ერთი ამ სამთაგან დამნაშავედ არ იცნო, ჩვეულებრივი ამბავია მაგნაირი ამბავიო და სამივენი გაამართლა, თუმცა დამსწრე საზოგადოება საშინლად აღელდა ამ გვარის მსჯავრის გამო.

## გასართობი

მოლა მასრადინა.

მოლა თავისს მეზობელს ათხ თუმნად მოურიგდა ცხენს.

— ეხლა 25 მანეთი მიიღე და 15 მანეთი ჩემზედ დარჩეს ვალადაო, უთხრა მოლამ და მეზობელიც დასთანხმდა. რამდენსამე ხანს შემდეგ მოლას მეზობელი ეწვია და 15 მანეთი ვალი მოსთხოვა.

— განა პირობად არა გვქონდა დადებული, რომ ის 15 მანეთი ჩემზედ დარჩეს ვალადაო? ეხლა რომ ავიღო და მოგცე, ამითი ხომ პირობა დაირღვევა, ჩემზედ აღარ იქნება დარჩენილი ვალადაო, უპასუხა მოლამ.

**

მოლამ ბაზარში 12 ცალი კვერცხი იყიდა და ხელსახოცით სახლში მიჰქონდა. გზაზედ ვიღაც დავრიში შეჰხვდა.

— რომ მიჰხვდე და გამოიცნო, რა მაქვს ამ ხელსახოცში, ერბო-კვერცხს გაჭმევდიო, უთხრა მოლამ.

— კვერცხი იქნებაო, უპასუხა დავრიშმა.

— თუ მეტყვი, რამდენიც არის, თორმეტსავე შენ მოგცემ.

— თორმეტიო, უპასუხა დავრიშმა.

— პირველადა ვხედავ ჩემს სიცოცხლეში შენისთანა გონიერს, შენისთანა ჭკვიანსა და შორს-გამჭვრეტს კაცსაო, უთხრა მოლამ და ხელსახოცი კვერცხებითურთ დავრიშს უფეშქაშა.

**

მოლა მასრადინამ თავისს ქათმებს ყელზედ შავის მაუდის ნაჭრები ჩამოჰკიდა.

— დგე საზოგადოებამ შეიტყოს, რომ ჩემს ქათმებს მშობელი დედა გარდაეცვალათ და ეხლა მგლოვიარედ არიანო.

**

მოლას შეატყობინეს, რომ შენმა შვილმა ჭკუა-გონება დაჰკარგა და ცნობა-მიღებულსავით არისო, მოლამ წვერზედ წაივლო ხელი და ჩაფიქრდა.

— რას ჩაფიქრდი, მოლაო? ჰკითხეს მეგობრებმა.

— ჩემს შვილს ჭკუა და გონება არასოდეს არა ჰქონია და ამასა ვფიქრობ, ვერ მომისაზრებია, რა უნდა დაეკარგაო! უპასუხა მოლამ.

**

მოლა ერთს აჯაგას სადილად იყო

*) იხ. „ივერია“ № 240.

დაპატიჟებული. სუფრაზედ სხვათა შორის სუნ-ადენილი თევზიც მოიტანეს. მოლამ იფიქრა, უნდა ვაგრძნობინო მასპინძელს ეს მისი საქციელიო, აიღო ერთი თევზი, ლაყუში აუწია და რაღაცა ჩასჩურჩულა. მერე პირი გაადებინა, ყურთან მიიტანა და ვითომ მოსმენა დაუწყო. იქ მყოფნი გაოცებით იკითხეს:

— რას სჩადიხარ, მოლაო?

— არაფერს, უპასუხა მასრადინამ: თევზსა ვკითხე, ხომ არ გინახავს მამიჩემის გვამი, რომელიც ამ ათის დღის წინად დაირჩო-მეთქი, თევზმა მომიგო, რომ არც მე მინახავს და არც სხვა აქ მყოფი თევზები ჰნახავდნენ, რადგან თევზედ მეტია, რაც დაგვიჭირეს და წყლიდგან ამოგვიყვანესო. მასრადინამ როცა მოლობა მოინდომა, ჰკითხეს, რამ გაფიქრებინა მოლად ყოფნაო.

— ჩემმა პაპამ ანდერძად დამიგდო, რომ ზარმაცი და მუქთა-ჭამია, მუქთახორა უნდა იყოვო, უპასუხა მოლამ.

**

გამოლებულს მასრადინასთან მივიდნენ მეჭმადიანნი და სთხოვეს:

— აგვიხსენი, თუ ალლახი გწამს, მთვარე რომ დაძველდება, რაზედა ჰხმარობენო?

— ამტვრევენ და წვრილ ვარსკვლავებად აკეთებენო, უპასუხა მოლამ.

# დეპეშები

18 ნოემბერი

პეტერბურგი. ბერლინიდგან სწერენ „მართებლობის მოამბეს", რომ გერმანიის მთავრობამ აღკრძალა ჭლექით ავადმყოფების მიღება კერძო სამკურნალოებშიო. ყოველივე საქმე კოხის წესით ჭლექიან ავადმყოფების მკურნალობისა მთავრობის ხელში გადადის.

ქაირი. მემკვიდრე ცესარევიჩი თავის უავგუსტოესს თანამხლებლებითურთ დღეს მობრძანდა ლუქსორში, ხვალ კარნიკისა და მებნონის ძეგლის დაათვალიერებს და ორშაბათს ისნეხში წაბრძანდება.

ბერლინი. პალატაში გამოაცხადეს, რომ კოხს საჭირო ფული მიეცემა და საზოგადოდ ყოველივე საშუალება იქმნება ნახმარი, რომ იმის წამლით სარგებლობა ღარიბებსა და ხელ-მოკლეებსაც შეეძლოთო. ერთმა გერმანელმა მილიონი მარკა შესწირა, რომ ამ ფულით ეწამლოს ღარიბს ჭლექით ავადმყოფებსაო.

ბრესლავლი. ჩქარა დართავენ ნებას ცოცხალ ღორების შემოყვანისას რუსეთიდგან ბოთნსა, ბეიტენსა და მისლოვიცში, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ მაშინვე იქმნან დახოცილნიო.

19 ნოემბერი

ბერლინი. აქ ამ ბოლოს დროს ხმა გავრცელდა, რომ რუსეთის ფინანსთა მინისტრი ოქროს ყიდულობს და ამითი მანათის კურს უკეთებს სოფლის მემამულეებსაო. ამის შესახებ „Boersencourier"-ი ამბობს, რუსეთის სახელმწიფო კრედიტისათვის სასარგებლო იქნება, რომ ოფიციალურად გამოირკვეს ეს საქმეო. აქ იმედი არა აქვთ, რომ რუსეთმა გამოარკვიოს ეს საქმე, რადგან რამდენიმე წელიწადია ჰკითხავენ ფინანსთა მინისტრს; ვალიუტის ოპერაციების შესახებ გაგვაგებინე რამეო, და ის-კი ყოველთვის ზრდილობიანად იმ პასუხს იძლევა, რომ ვალიუტის საქმეში ოქროს მომხრე ვარო. რადგანაც, ანდაზისა არ იყოს, ლაპარაკი ვერცხლადა ჰღირს და სიჩუმე ოქროდ, რუსეთის მინისტრიც ყოველთვის სიჩუმეს ამჯობინებს ხოლმეო.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ნოემბერი.

| | მყიდველი. | გამყიდველი. | გაყიდული. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | — „ | 6 85 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 137½ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | — „ | 1 10 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 234½ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | 213 | — „ | — „ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | 210½ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და ყირიმში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (ყირიმსა და ნოვოროსიასკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ჯადაზე გემები.

# განცხადებანი


‚სიჭაბუკის ცოდვა'

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(40—25)

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის" წიგნის მაღაზიებში.

საგულისხმიერო აზრები

ვეფხვის ტყაოსნიდამ

შედგენილი და გამოცემული ნიკო ველის-ციხელის მიერ.

ფასი ორი შაური

გამოვიდა და ისყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების" და „ქართველთა წიგნების გამომცემის ამხანაგობის" წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქართული წერის დედანი

და

ხატვის ნიმუშები

შედ. ს. დათეშიძისაგან.

ფასი ხუთი შაური

მხოლოდ ამ ფაბრიკის მარკით არის ნამდვილი




„ნუ ახველებ"

თაფლ-ბალახიანი მალც ექსტრაქტი და კამფეტები

ლ. ჰ. პიტშისა და ამხ. ბრესლავლში.

ქიმიურის ანალიზითა და სმკურნალო გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ყოველს შემთხვევაში ამ წამლებში არეული არ არის არც ერთი მავნებელი ნივთიერება ადამიანის ჯან-მრთელობისათვის, და კიდეც ამიტომ მისი რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება დართულია.

ფასი: ბოთლი ჰღირს 1 მან. 25 კაპ. და 2 მ. 40 კაპ. კანფეტები 30 და 50 კაპ.

გაგზავნა და შეხვევა ცალკე უნდა იანგარიშებოდეს.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის არის

ფ. ალერიხთან

ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18/19.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში.

[illegible] 191 №-ში.

(16—3)

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის-მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

„წერა-კითხვის" წიგნის მაღაზ. ამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი"-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება რასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რაგხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «დომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

ოქროს  თამბაქოს ფაბრიკა  მედალი

ნ. ი. ბოზარჯიანცისა

ტფილისში

მაქვს ბ-ნთ მოყვარულთათვის საუკეთესო თამბაქო და პაპიროსი ჩემის ფაბრიკისა, რომელშიაც დიდ-ძალის ოსმალეთისა და ადგილობრივ მოსულს საუცხოვო თამბაქოს თავდარიგია დაჭრილი. შემონაკვეთს მუშტრის გემოვნებაზედ და სწრაფად ვამზადებ. ჩემს მაღაზიაში ბევრი იპოვება საუკეთესო მოწყობილობა და მასალა თამბაქოს ხმარებისა. უცხო-ქვეყნელთა შემონაკვეთს დაუყოვნებლად ვასრულებთ. ფაბრიკის უმთავრესი მაღაზია იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის, არწრუნისეულს სახლში.

(25—22)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვით . . . | 10 მ.—კ. | 6 | თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | „ . . . | 9 „ 50 „ | 5 | „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 | „ . . . | 8 „ 75 „ | 4 | „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 | „ . . . | 8 „ — „ | 3 | „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 | „ . . . | 7 „ 25 „ | 2 | „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 | „ . . . | 6 „ 50 „ | 1 | „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმაელობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებული, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

კბილი ალარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ

და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.



ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ჰნახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Séguin, Bordeaux, rue Croix de Ségucy.

(208—60)


Доз. цен. Тифлисъ, 19-го Ноября 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე